

შპს „ბარვილ ჯორჯია“

2018 წლის
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს KPMG Georgia

ჯი ემ თი პლაზა

მე-5 სართული, 4, თავისუფლების მოედანი

თბილისი, საქართველო, 0105

ტელეფონი: +995 322 93 57 13

ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „ბარვილ ჯორჯიას“ აქციონერებს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ბარვილ ჯორჯიას“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მითითებული თარიღისთვის დასრულებული წლისთვის მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას, და მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, გარდა ჩვენი ანგარიშის პირობითი მოსაზრების საფუძველის ქვეთავში აღწერილი საკითხის შესაძლო გავლენისა შესაბამის ციფრებზე 2017 წლის 31 დეკემბრისთვის და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის, მდგომარეობით, ასევე 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ვერ დავესწარიტ 254,247 ლარის საბალანსო ღირებულების მქონე მარაგების დათვლას, რადგან ჩვენ კომპანიის აუდიტორებად ამ თარიღის შემდეგ დაგვნიშნეს. მარაგების რაოდენობაზე ალტერნატიული საშუალებებითაც შეუძლებელი იყო საკმარისი რწმუნების მოპოვება. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით დადგენა იმისა იყო თუ არა საჭირო კორექტირება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შემადგენლობაში შემავალ ელემენტებთან მიმართებაში. ჩვენი, 2019 წლის 5 მარტით დათარიღებული, დასკვნა წინასწარ ფინანსურ ანგარიშგებაზე, 2017 წლის 31 დეკემბრისთვის და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის, იქნა კორექტირებული შესაბამისად. ჩვენი დასკვნა მიმდინარე წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე, ამ საკითხის მიმდინარე წლის ციფრების შესაბამის ციფრებთან შესადარისობაზე შესაძლო გავლენის გამო, ასევე იქნა კორექტირებული.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი დასკვნა, ფინანსური ანგარიშგების შესახებ, არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობას და განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობითი ანგარიშის შესახებ. მმართველობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- არის შესაბამისობაში ფინანსურ ანგარიშგებასთან და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობის და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „კომპანიის“ უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს „კომპანიის“ ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს აგებენ „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შეცდომის ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილი უზუსტობები შესაძლებელია მოიპოვებოდნენ არსებითად, თუ ცალკე ან ერთობლივად შეუძლიათ გავლენა იქონიონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მართებულია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი

უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.

- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნი, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნი, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშებაში, ან, თუ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

კარენ საფარიანი

შპს „KPMG Georgia“
თბილისი, საქართველო
27 ნოემბერი, 2019 წელი

უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.

- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვეველობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვეველობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავაძახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

კარენ საფარტანი

შპს „KPMG Georgia“

თბილისი, საქართველო
27 ნოემბერი, 2019 წელი



შპს „ბარვილ ჯორჯია“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	12	7,686,363	8,205,841	8,529,017
არამატერიალური აქტივები		9,116	9,819	4,656
ინვესტიციები სხვა კომპანიებში		51,360	51,360	51,360
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,746,839	8,267,020	8,585,033
მარაგები	10	110,808	222,848	254,247
გაცემული სესხები	13	-	1,555	502,614
სავაჭრო მოთხოვნები	15 (ii)	340,275	375,976	196,424
გადახდილი ავანსები		34,419	75,588	84,212
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	2,785,521	2,578,018	1,401,045
საგადასახადო აქტივები		12,008	54,742	366,847
სულ მიმდინარე აქტივები		3,283,031	3,308,727	2,805,389
სულ აქტივები		11,029,870	11,575,747	11,390,422
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	14	12,600	12,600	12,600
გაუნაწილებელი მოგება		10,996,995	11,548,769	11,312,767
სულ კაპიტალი		11,009,595	11,561,369	11,325,367
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		13,912	5,857	44,862
კლიენტებისგან მიღებული ავანსები		6,363	8,521	20,193
მიმდინარე ვალდებულებები		20,275	14,378	65,055
სულ ვალდებულებები		20,275	14,378	65,055
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		11,029,870	11,575,747	11,390,422

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და განთავსებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 10- 34 გვერდებზე.

შპს „ბარვილ ჯორჯია“
2018 წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	5	3,796,309	2,794,454
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(1,369,618)	(1,237,572)
მთლიანი მოგება		2,426,691	1,556,882
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,748,711)	(1,542,016)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების აღდგენა/(ზარალი)		19,625	(45,694)
საოპერაციო მოგება		697,605	(30,828)
ფინანსური შემოსავალი, წმინდა	8	45,578	241,655
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა		53,137	25,175
მოგება დაბეგვრამდე		796,320	236,002
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(59,144)	-
წლის მოგება და სულ სრული შემოსავალი		737,176	236,002

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მისი სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 27 ნოემბერს:

იოსებ გორგილაძე
გენერალური მენეჯერი


ლალი ნადარაია
ფინანსური და ადმინისტრაციული
მენეჯერი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და განთავსებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 10-34 გვერდებზე.

შპს „ბარვილ ჯორჯია“
2018 წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	5	3,796,309	2,794,454
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(1,369,618)	(1,237,572)
მთლიანი მოგება		2,426,691	1,556,882
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,748,711)	(1,542,016)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების აღდგენა/(ზარალი)		19,625	(45,694)
საოპერაციო მოგება		697,605	(30,828)
ფინანსური შემოსავალი, წმინდა	8	45,578	241,655
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა		53,137	25,175
მოგება დაბეგვრამდე		796,320	236,002
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(59,144)	-
წლის მოგება და სულ სრული შემოსავალი		737,176	236,002

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მისი სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 27 ნოემბერს:


იოსებ გორგილაძე
გენერალური მენეჯერი




დავით ნადარია
ფინანსური და ადმინისტრაციული
მენეჯერი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და განთავსებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 10-34 გვერდებზე.

ლარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	12,600	11,312,767	11,325,367
წლის მთლიანი სრული შემოსავალი			
წლის მოგება და სულ სრული შემოსავალი	-	236,002	236,002
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	12,600	11,548,769	11,561,369
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	12,600	11,548,769	11,561,369
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში			
წლის მოგება და სულ სრული შემოსავალი	-	737,176	737,176
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	737,176	737,176
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან			
დივიდენდები	-	(1,288,950)	(1,288,950)
სულ ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან	-	(1,288,950)	(1,288,950)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	12,600	10,996,995	11,009,595

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და განთავსებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 10 - 34 გვერდებზე.

ლარი	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
წლის მოგება		737,176	236,002
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა		341,634	342,075
მოგების გადასახადის ხარჯი		59,144	-
ჩამოწერა/ ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ზარალი, წმინდა		4,360	3,970
ფინანსური შემოსავალი, წმინდა		(45,578)	(241,655)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების (აღდგენა)/ზარალი		(19,625)	45,694
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაუფასურების ზარალი		-	9,307
		1,077,111	395,393
<i>ცვლილებები:</i>			
მარაგები		97,845	31,399
სავაჭრო მოთხოვნები		61,217	(226,481)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		8,009	(37,172)
გადახდილი ავანსები		39,780	8,624
კლიენტებისგან მიღებული ავანსები		(1,934)	(11,672)
საგადასახადო აქტივები		7,256	312,105
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები, დაბეგვრამდე		1,289,284	472,196
გადახდილი მოგების გადასახადი		(59,144)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		1,230,140	472,196
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		61,442	81,364
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაყიდვით მიღებული შემოსულობები		243,208	-
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა		(8,720)	(22,171)
სესხების გაცემა		(350,000)	(580,000)
სესხების დაფარვა		350,000	1,080,958
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობებიდან		295,930	560,151
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან			
გადახდილი დივიდენდი		(1,288,950)	-
ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,288,950)	-
წმინდა ზრდა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		237,120	1,032,347
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს	11	2,578,018	1,401,045
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(29,617)	144,626
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	11	2,785,521	2,578,018

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და განთავსებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 10 - 34 გვერდებზე.

შენიშვნა	გვერდი	შენიშვნა	გვერდი
1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო	11	12. ძირითადი საშუალებები	16
2. მომზადების საფუძველი	11	13. გაცემული სესხები	19
3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	12	14. კაპიტალი და კაპიტალის მართვა	19
4. შეფასებების და მსჯელობების გამოყენება	12	15. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა	20
5. შემოსავალი	13	16. პირობითი ვალდებულებები	24
6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	13	17. დაკავშირებული მხარეები	25
7. ადმინისტრაციული ხარჯები	14	18. შემდგომი მოვლენები	26
8. წმინდა ფინანსური შემოსავალი	14	19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	26
9. მოგების გადასახადის ხარჯი	14	20. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	34
10. მარაგები	15		
11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15		

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(ა) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(ბ) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „ბარვილ ჯორჯია“ (კომპანია) ქართული შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე საწარმოა. როგორც ეს განსაზღვრულია „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ მიერ. შპს „ბარვილ ჯორჯია“ დაარსდა 1996 წლის 13 მარტს. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 215083139.

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: ტაბიძის ქუჩა 3, ფოთი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ტერმინალის, კონტეინერების დამუშავების (დატვირთვა, ჩამოცლა) და შენახვის მომსახურების გაწევა. კომპანია ფლობს და მართავს 6.94 ჰექტარი ფართობის მქონე ტერმინალის სივრცეს, რომელიც ფოთის პორტის მთავარი შესასვლელიდან 200 მეტრში მდებარეობს, რის შედეგადაც ის პორტთან ყველაზე ახლოს მდებარე ტერმინალს წარმოადგენს.

2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას შპს „Barwil Agencies A.S., Norway“ (50%) და „TEE and TEE Shipping Limited, UK“ (50%) ფლობს. კომპანიის პირდაპირი მაკონტროლებელი მშობელი კომპანია არის შპს LLC Barwil Agencies A.S., Norway. შპს „Barwil Agencies A.S. Norway“ და „TEE and TEE Shipping Limited, UK“-ის საბოლოო მაკონტროლებელ მხარეებს წარმოადგენენ ფიზიკური პირები ტომას ვილჰელმსენი და ჯემალ ინაიშვილი, შესაბამისად. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია მე-17 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. მოცემული წარმოადგენს კომპანიის, ფასს-ს მიხედვით და ფასს 1 *ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება* გამოყენებით მომზადებულ, ფინანსური ანგარიშგების პირველ სრულ ნაკრებს.

რადგან კომპანიას არ გამოუცია შესადარისი პერიოდების საზოგადოდ მიღებული საბუღალტრო სტანდარტების (GAAP), მიხედვით მომზადებული დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგებები, მოცემული ფინანსური ანგარიშგების პირველი სრული ნაკრები არ მოიცავს ახსნა-განმარტებებს თუ რა გავლენა იქონია GAAP-დან ფასს-ზე გადასვლამ წარდგენილ ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ საქმიანობასა და ფულად ნაკადებზე.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც „კომპანიის“ სამუშაო ვალუტას წარმოადგენს. შესაბამისად, მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვაგვარად არ იქნება მითითებული.

4. შეფასებების და მსჯელობების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ებთან შესაბამისობაში, რაც ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს ისეთი მსჯელობების, შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაზე და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკასთან მიმართებაში გამოყენებულ ყველაზე კრიტიკული მსჯელობების, დაშვებების და შეფასებების შესახებ, რომელთაც აქვთ არსებითი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, აღწერილია შენიშვნაში 12 (ა) - ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება, ნაყოფის მომცემი კულტურების და დაუმთავრებელი მშენებლობების გარდა და შენიშვნაში 12 (ბ) - ძირითადი საშუალებების კლასიფიკაცია და შენიშვნაში 19(ი)(ii) ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ციკლი.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და ინფორმაცია საჭიროებს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას.

კომპანიამ დანერგა კონტროლის სტრუქტურა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრებასთან დაკავშირებით. ფინანსურ დირექტორს აქვს საერთო პასუხისმგებლობა სამართლიანი ღირებულების შეფასების ზედამხედველობაზე, მათ შორის მე-3 დონის სამართლიანი ღირებულებისა, და ის პირდაპირ წარუდგენს ანგარიშს აქციონერებს.

ფინანსური და ადმინისტრაციული მენეჯერი რეგულარულად განიხილავს მნიშვნელოვან არადაკვირვებად მონაცემებს და საშემფასებლო ტექნიკის ცვლილებებს. თუ მესამე პირის ისეთი ინფორმაცია, როგორც არის ბაზრის შესადარისი ფასები, გამოიყენება სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, ფინანსური და ადმინისტრაციული მენეჯერი აფასებს მესამე მხარეებისგან მიღებულ მტკიცებულებებს დასკვნის მხარდასაჭერად იმის შესახებ, რომ ამგვარი შეფასებები აკმაყოფილებენ ფასს-ების მოთხოვნებს, მათ შორის იმ დონის მოთხოვნებს სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, რომელშიც ამგვარი შეფასებები უნდა იქნას კლასიფიცირებული.

მნიშვნელოვანი საშემფასებლო საკითხების შესახებ ანგარიში კომპანიის აქციონერებს წარედგინება.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, „კომპანია“ შემდგომიდან დაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით:

- *დონე 1:* კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) აქტიურ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის.

- დონე 2: მონაცემები გარდა პირველ დონეში შემავალი მონაცემებისა, რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული).
- დონე 3: მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეყრდნობა დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

„კომპანია“ მოძრაობას სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აღიარებს, რა დროსაც ადგილი ჰქონდა ცვლილებას.

ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ მოცემულია 15 შენიშვაში - სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა:

5. შემოსავალი

(ა) შემოსავლის წყაროები

ლარი	2018	2017
კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი	<u>3,796,309</u>	<u>2,794,454</u>

(ბ) კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების ჩაშლა

ცხრილში მოცემულია საქართველოში, კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის ჩაშლა ძირითადი მომსახურების მიმართულებების მიხედვით.

31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ლარი	2018	2017
კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი		
აწევა(ლიფტინგ)	1,648,787	1,207,836
შენახვა	1,526,819	1,151,794
დაცლა	331,286	250,757
სხვა მომსახურება	<u>289,417</u>	<u>184,067</u>
	3,796,309	2,794,454
შემოსავლის აღიარების ვადები		
დროის მანძილზე გადაცემული მომსახურება	<u>3,796,309</u>	<u>2,794,454</u>
შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	3,796,309	2,794,454

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემოსავლის ძირითადი ნაწილი უკავშირდება დაკავშირებულ მხარეებს, იხილეთ შენიშვნა 17.

ხელშეკრულებების მიხედვით გადახდილი ავანსები აღიარებულია შემოსავლად სააღრიცხვო პერიოდის დასრულებიდან 1-3 თვის განმავლობაში.

6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ლარი	2018	2017
შრომის ანაზღაურება	888,875	812,949
ცვეთა	275,432	272,296
საწვავი	105,779	50,002
ტრანსპორტირება	93,793	92,959
სხვა	<u>5,739</u>	<u>9,366</u>
	1,369,618	1,237,572

7. ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2018	2017
ხელფასი	691,875	649,530
დაცვის და კომუნალური ხარჯები	347,535	331,362
რემონტის ხარჯები	246,416	129,715
პერსონალის დაზღვევის ხარჯი	134,924	135,660
პროფესიული მომსახურება	90,625	38,033
ქონების გადასახადი	72,075	74,729
ცვეთა	66,202	69,779
წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯი	49,018	59,588
სხვა	50,041	53,620
	1,748,711	1,542,016

8. წმინდა ფინანსური შემოსავალი

ლარი	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი ეფექტური პროცენტო მეთოდით:		
- საბანკო ნაშთებზე	34,117	51,818
- ჯგუფში შემავალ, სხვა შვილობილ კომპანიებზე გაცემული სესხებიდან	25,770	29,445
ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული წმინდა (ზარალი)/მოგება	(14,309)	160,392
წმინდა ფინანსური შემოსავალი	45,578	241,655

9. მოგების გადასახადის ხარჯი

(ა) მოგებაში ან ზარალში აღიარებული ოდენობები

კომპანიის მიერ გამოყენებული საგადასახადო განაკვეთი არის, ქართულ კომპანიებთან მიმართებაში გამოყენებული, 17.64%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთი (2017: 17.64%).

ლარი	2018	2017
მიმდინარე გადასახადის ხარჯი	59,144	-
სულ საგადასახადო ხარჯი	59,144	-

(ბ) ეფექტური გადასახადის განაკვეთის შეჯერება:

	2018		2017	
	ლარი	%	ლარი	%
გამოცხადებული დივიდენდები	1,288,950*	-	-	-
მოგების გადასახადის ხარჯები გამოყენებული საგადასახადო განაკვეთით	227,461	17.65	-	-
დივიდენდებზე საგადასახადო ვალდებულების ურთიერთგადაფარვა **	(168,317)	(13.06)	-	-
სულ საგადასახადო ხარჯი	59,144	4.59	-	-

* 2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

** საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, 2008-2016 წლებში წმინდა გამომუშავებულ მოგებასთან დაკავშირებული დივიდენდების განაწილება ქართველ მეწარმეებს შორის, ასევე მოგების განაწილებად არის მიჩნეული, 2008-2016 საგადასახადო პერიოდებზე მიკუთვნებადი მოგების გადასახადის დაკრედიტების უფლებით.

2018 წელს გამოცხადებულ დივიდენდებთან დაკავშირებით, კომპანიამ საგადასახადო ანაზღაურება, 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მოგების გადასახადთან დაკავშირებულ დივიდენდებზე მიიღო.

2018 წლის 31 დეკემბერს, ჯამური საგადასახადო ანაზღაურება რომელიც ხელმისაწვდომია 2008-2016 წლებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებული, მოგების გადასახადის ურთიერთგადაფარვისთვის, 1,086 ათას ლარს შეადგენს (2017: 1,254 ათასი ლარი).

10. მარაგები

ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
საბურავები	67,664	124,671	147,569
კაბელები	9,683	31,610	34,310
ლიანდაგები	9,659	22,287	22,287
სხვა	23,802	44,280	50,081
	110,808	222,848	254,247

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ნაღდი ფული სალაროში	1,158	214	59
ბანკში არსებული ნაშთები	2,784,363	2,577,804	1,400,986
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები			
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და			
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში	2,785,521	2,578,018	1,401,045

კომპანიის დამოკიდებულება საპროცენტო განაკვეთის რისკზე და ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული მგრძნობელობის ანალიზი განხილულია მე-15 შენიშვნაში.

12. ძირითადი საშუალებები

სავარაუდო ღირებულების დადგენის მიზნით, ფასს-ზე გადასვლის ფარგლებში, განხორციელდა ძირითადი საშუალებების გადაფასება.

ლარი

თვითღირებულება ან სავარაუდო ღირებულება/ გადაფასებული თანხა	შენიშვნები					
	მიწა	მანქანა- დანადგარები	ინსტალაციები	ავტო- მობილები	ავეჯი და საოფისე ინვენტარი	სხვა აქტივები
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	4,649,898	2,188,904	1,166,942	502,892	-	20,381
შესყიდვები	-	4,045	-	-	9,343	8,783
გაყიდვები	-	-	-	(3,270)	-	-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	4,649,898	2,192,949	1,166,942	499,620	9,343	29,164
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	4,649,898	2,192,949	1,166,942	499,620	9,343	29,164
შესყიდვები	-	15,043	-	-	7,166	706
გაყიდვები	-	-	(209,097)	-	-	(2,118)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	4,649,898	2,207,992	957,845	499,620	16,509	27,752

ცვეთა

ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	-	-	-	-	-	-
დარიცხვა წლის განმავლობაში	-	(234,690)	(31,953)	(73,320)	(2,112)	-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	-	(234,690)	(31,953)	(73,320)	(2,112)	-
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	-	(234,690)	(31,953)	(73,320)	(2,112)	-
დარიცხვა წლის განმავლობაში	-	(238,324)	(28,467)	(71,997)	(2,846)	-
გაყიდვები	-	-	10,456	-	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	-	(473,014)	(49,964)	(145,317)	(4,958)	-

საბალანსო ღირებულება

2017 წლის 1 იანვარს	4,649,898	2,188,904	1,166,942	502,892	-	20,381
2017 წლის 31 დეკემბერს	4,649,898	1,958,259	1,134,989	426,300	7,231	29,164
2018 წლის 31 დეკემბერს	4,649,898	1,734,978	907,881	354,303	11,551	27,752

2018 წლის ცვეთის ხარჯი 275,432 ლარის ოდენობით (2017: 272,296 ლარი) დაერიცხა გაყიდვების თვითღირებულებას, ხოლო 66,202 ლარის ოდენობით ნაშთი (2017: 69,779 ლარი) ადმინისტრაციულ ხარჯებს დაერიცხა.

ა) ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება გამოყენებული როგორც სავარაუდო ღირებულება ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის

2018 წელს, ხელმძღვანელობამ შპს „Colliers International Georgia Valuation & Advisory“-ს, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ღირებულების დამოუკიდებელი შეფასება დაავალა, გარდა კატეგორიისა „სათადარიგო ნაწილები“, რათა დაედგინა მისი სავარაუდო ღირებულება ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის.

Colliers დასკვნის მიხედვით, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებების მთლიანი ღირებულება (ეკონომიკური ცვეთის გათვალისწინებამდე) 11,104,442 ლარით განისაზღვრა, რომელიც შედგება:

- სპეციალიზირებული ძირითადი საშუალებები, რომლებისთვისაც შესადარისი საბაზრო მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი, „გაცვეთილი ჩანაცვლების ღირებულების“ (DRC) მეთოდით ფასდება და 2,595,806 ლარს შეადგენას; და

- არასპეციალიზირებული და სპეციალიზირებული ძირითადი საშუალებები, რომლებისთვისაც შესადარისი საბაზრო მონაცემები არის ხელმისაწვდომი, საბაზრო შედარების მიდგომის გამოყენებით ფასდება და 8,508,636 ლარს შეადგენს.

ლარი	ეკონომიკურ დამკვლევამდე	შეფასების მეთოდი	ეკონომიკური დამკვლევების გავლენა	საბოლოო ღირებულება 2017 წლის 1 იანვარს
სპეციალიზირებული (დონე 3)	2,595,806	DRC	(2,595,806)*	-
სპეციალიზირებული და არასპეციალიზირებული (დონე 2)	8,508,636	საბაზრო მიდგომა	-	8,508,636
სათადარიგო ნაწილები (დონე 2)	-	შენიშვნა 1	-	20,381
ძირითადი საშუალებების მთლიანი ღირებულება	11,104,442		(2,595,806)	8,529,017

შენიშვნა 1: კომპანიამ გაანალიზა და დაასკვნა, რომ 2017 წლის 1 იანვარს, სათადარიგო ნაწილების თვითღირებულება მის სამართლიან ღირებულებას არის მიახლოებული.

* ეკონომიკური დამკვლევების ტესტის (“ფულადი ნაკადების ტესტირება”) აღწერა იხილეთ ქვემოთ.

კომპანიის ძირითადი საშუალებები სპეციალიზირებული ხასიათისაა და იშვიათად იყიდება ღია ბაზარზე (უწყვეტი საქმიანობის ნაწილის გარდა), მიწის, ადმინისტრაციული და სასაწყობო შენობების, მანქანა-დანადგარების და ტრანსპორტის გარდა, რომელიც შეფასებულია ბოლო საბაზრო გარიგებების საფუძველზე. მსგავსი ძირითადი საშუალებების ბაზარი არ არის აქტიური საქართველოში და არ უზრუნველყოფს, სამართლიანი ღირებულების დასადგენად საბაზრო მიდგომის გამოსაყენებლად აუცილებელ, შესადარისი ძირითადი საშუალებების საკმარის რაოდენობას.

შედეგად, სპეციალიზირებული ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება ძირითადად გაცვეთილი ჩანაცვლების ღირებულებით განისაზღვრება. მოცემული მეთოდი ითვალისწინებს ძირითადი საშუალებების დუბლირების ან ჩანაცვლების ხარჯს, კორექტირებულს ძირითადი საშუალებების ფიზიკური, ფუნქციონალური ან ეკონომიკური ცვეთით და დამკვლევით.

გაცვეთილი ჩანაცვლების ღირებულება შეფასდა შიდა წყაროების და მსგავსი ძირითადი საშუალებების, საქართველოს და საერთაშორისო ბაზრების ანალიზის საფუძველზე. სხვადასხვა საბაზრო მონაცემები შეგროვდა გამოქვეყნებული ინფორმაციიდან, კატალოგებიდან, სტატისტიკური მონაცემებიდან და ა.შ. ასევე დაუკავშირდნენ მრეწველობის ექსპერტებს და ძირითადი საშუალებების მომწოდებლებს, საქართველოში და საზღვარგარეთ.

გაცვეთილი ჩანაცვლების ხარჯის დადგენასთან ერთად, მოცემული ღირებულებების ეკონომიკურ დამკვლევაზე შეფასებისთვის, ფულადი ნაკადების ტესტირება ჩატარდა. ფულადი ნაკადების ტესტირება კომპანიის დონეზე ჩატარდა, რადგან ის წარმოადგენს მხოლოდ ერთი, ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შეფასებას, რაც არის ტერმინალი.

ფულადი ნაკადების ტესტირებისას გამოყენებულ იქნა შემდეგი ძირითადი დაშვებები:

- ფულადი ნაკადების პროგნოზი განხორციელდა წარსულ გამოცდილებაზე, ფაქტიურ საოპერაციო შედეგებზე და კომპანიის ხუთწლიანი ბიზნეს გეგმაზე დაყრდნობით.
- ფულადი ნაკადების ტესტირების მიზნებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ყველა ძირითადი საშუალება როგორც ერთი ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეული რადგან ისინი ურთიერთდამოკიდებულია და ფულადი ნაკადების გადინების არსებითი ნაწილი არ შეიძლება, გონივრულ საფუძველზე, მიკუთვნებულ იყოს ძირითადი საშუალებების ცალკეულ ერთეულებზე;
- გაყიდვის ფასი მოსალოდნელია რომ გაიზარდოს მომხმარებელთა ფასების ინდექსის (CPI) აშშ დოლარის ზრდის შესაბამისად და გაყიდვების მოცულობა მოსალოდნელია, რომ გაიზარდოს საქართველოს წლიური (2017 წლის შემდეგ), ფაქტიური მშპ-ს ზრდის განაკვეთის შესაბამისად;

- ფულადი ნაკადები შემდეგ ხუთ წელიწადზე იქნა მისადაგებული, იმის გათვალისწინებით რომ აღარ იქნებოდა მოთხოვნის არსებითი ზრდა;
- აქტივების აღდგენადი ღირებულების დასადგენად გამოყენებულ იყო გადასახადების შემდგომი დისკონტირების 12.62%-იანი განაკვეთი. დისკონტირების განაკვეთი შეფასდა მრეწველობის საშუალო შეწონილი კაპიტალის საშუალო ღირებულებით
- ტერმინალური ღირებულება დადგინდა 5-წლიანი პერიოდის ბოლოს. ტერმინალური ღირებულების შეფასებისას გამოყენებულ იყო 1.9%-იანი ტერმინალური განაკვეთი

ფულადი ნაკადების ტესტირების შედეგად, ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის გამოყენებითი ღირებულება 4,738,197 ლარით შეფასდა. რაგდან გამოყენებითი ღირებულება იყო უფრო დაბალი ვიდრე ძირითადი საშუალებების მთლიანი ღირებულება, კომპანიამ ძირითადი საშუალებები მათი აღდგენადი ღირებულებით აღიარა - 8,529,017 ლარი (იხილეთ ცხრილი ზემოთ), რაც იყო ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება შეფასებული საბაზრო შედარების მიდგომის გამოყენებით. მოცემული ოდენობა ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის (2017 წლის 1 იანვარი) მიჩნეულ იყო სავარაუდო ღირებულებად.

დეტალური მგრძნობელობის ანალიზი არ არის წარმოდგენილი რადგან არ მომხდარა გონივრულად შესაძლო ცვლილებები არადაკვირვებად მონაცემებში რასაც შეეძლო მნიშვნელოვნად მაღალი ან დაბალი სამართლიანი ღირებულების შეფასება გამოწვევა. ეს მოხდა რადგან ფულადი ნაკადების ტესტირების შედეგები არსებითად დაბალია ძირითადი საშუალებების ღირებულებაზე, ეკონომიკურ დაძვლებამდე, საბაზრო მიდგომის გამოყენებით შეფასებული ძირითადი საშუალებების ღირებულების ჩათვლით.

ბ) ძირითადი საშუალებების კლასიფიკაცია

2018 წლის 12 მაისს, შპს „ბარვილ ჯორჯია“-სა და დაკავშირებულ მხარეს, შპს „Medlog Georgia Development“-ს (შემდგომ, „მყიდველი“) შორის, გაფორმდა „ყიდვა-გაყიდვის“ ხელშეკრულება, 2,561,000 აშშ დოლარის ღირებულების (დღგ-ს გარეშე), 69,400 კვ. მ.-დან 49,597.15 კვ. მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უძრავი და მოძრავი ქონების მნიშვნელოვანი ნაწილის გაყიდვაზე. ხელმძღვანელობა, გაყიდვიდან მიღებული ამონაგების, ბიზნესის რესტრუქტურისა და პროცესის ოპტიმიზაციაში რეინვესტირებას გეგმავს. გაყიდვის გარიგებას, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მოცელი ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ავტორიზების თარიღისთვის, არ ჰქონია ადგილი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობამ, ზემოაღნიშნულ, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებასთან მიმართებაში, ძირითადი საშუალებების ერთეულების კლასიფიკაცია გაანალიზა და დაასკვნა:

- ხელმძღვანელობას განზრახული ჰქონდა აქტივების გაყიდვა;
- აქტივი აქტიურად იყო წარმოდგენილი გასაყიდ ბაზარზე, მის სამართლიან ღირებულებასთან მიმართებაში გონივრულ გასაყიდ ფასში;
- გეგმის დასასრულებლად აუცილებელი მოქმედება მიუთითებდა იმაზე, რომ გეგმის არსებითი ცვლილება ან გაუქმება არ იყო მოსალოდნელი

თუმცა, 2018 წლის 31 დეკემბრის აქტივები არ იყო დაუყოვნებელი გასაყიდად ხელმისაწვდომი და შესაბამისად, ხელმძღვანელობის შეფასებით, ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში არ იყო გაყიდვის დიდი ალბათობა, რათა საქართველოს შემოსავლების სამსახურთან ღია დავასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამო, რასაც მოყვება იურიდიული და ტექნიკური საპროცესო პროცედურები.

ზემოაღნიშნულის მიხედვით, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ზემოაღნიშნული აქტივების გაყიდვა იყო ნაკლებად მოსალოდნელი და შესაბამისად, ძირითადი საშუალებების ერთეულები არ იყო კლასიფიცირებული გასაყიდად ფლობილი, გრძელვადიანი აქტივების სახით.

13. გაცემული სესხები

შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას კომპანიის ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, გაცემული პროცენტიანი სესხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებზე.

ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
მოკლევადიანი აქტივები			
ჯგუფში შემავალ, სხვა შვილობილ კომპანიებზე გაცემული სესხები	-	1,555	502,614
	-	1,555	502,614

(ა) პირობები და გადახდის ცხრილი

გაცემული დაუფარავი სესხების ვადები და პირობები არის შემდეგი:

	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2018	
				ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
ჯგუფში შემავალ, სხვა შვილობილ კომპანიებზე გაცემული სესხი	ლარი	11%	2018	1,555	1,555

	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	1 იანვარი 2017	
				ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
ჯგუფში შემავალ, სხვა შვილობილ კომპანიებზე გაცემული სესხი	ლარი	11%	2018	502,614	502,614

2016 წლის განმავლობაში კომპანიამ გასცა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება მის დაკავშირებულ მხარეზე მაქსიმალური 1,000,000 ლარის ოდენობით, რომელიც ამოიწურა 2018 წელს. 2017 წელს მაქსიმალური ოდენობა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების მიხედვით გაიზარდა 100,000 ლარით. აუთვისებელი საკრედიტო ხაზი 2017 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 1 იანვარს იყო 1,100,000 ლარი და 497,386 ლარი, შესაბამისად. 2018 წლის 31 დეკემბრის მდოგმარეობით საკრედიტო ხაზი დაიხურა.

სესხის ხელშეკრულების მიხედვით, მსესხებელს აქვს უფლება მოითხოვოს სესხის დაუყოვნებელი გადახდა დაკავშირებული მხარის კომპანიაზე შეწყვეტის შეტყობინების გადაცემისთანავე. შესაბამისად, კომპანია ყველა დაუფარავ ძირ თანხასა და დარიცხულ პროცენტს მიმდინარე აქტივებად აკლასიფიცირებს.

14. კაპიტალი და კაპიტალის მართვა

(ა) საწესდებო კაპიტალი

ლარი	31 დეკემბერი 2018		31 დეკემბერი 2017		1 იანვარი 2017	
		%		%		%
შპს „Barwil Agencies AS., Norway“	6,300	50	6,300	50	6,300	50
„TEE and TEE Shipping LTD, UK“	6,300	50	6,300	50	6,300	50
ჯამი	12,600	100	12,600	100	12,600	100

(ბ) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ნორმატიული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად.

2018 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდი 1,288,950 ლარის ოდენობით, რომელიც მოიცავს გადასახადებს 64,448 ლარის ოდენობით.

(გ) კაპიტალის მართვა

კომპანიას არ გააჩნია კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს უზრუნველყოს კაპიტალის შესაბამისი ბაზა კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ასევე ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად. ეს მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, კომპანიის შემოსავლების და მოგების მუდმივი მონიტორინგით და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ძირითადად ფინანსდება კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადებით. ამ ზომების განხორციელებით კომპანია მიზნად ისახავს მოგების სტაბილურ ზრდას.

წლის განმავლობაში კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა.

კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალის მოთხოვნებს.

15. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება შეფასების თარიღისთვის აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ოპერაციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას რეალიზებადი ოდენობა.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება საშემფასებლო ტექნიკების გამოყენებით. საშემფასებლო ტექნიკების მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს იმ ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვით ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადაცემით შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეებს შორის სტანდარტულ ოპერაციაში. გამოყენებული საშემფასებლო ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება გაანგარიშდება ძირითადად თანხის და საპროცენტო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც ანგარიშგების თარიღისთვის, პროცენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირდება.

(ბ) ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საანგარიშგებო თარიღისთვის „კომპანიის“ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

(გ) ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, „კომპანია“ გასწევს შემდეგ რისკებს:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ 15 (გ)(ii));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ 15 (გ)(iii));
- საბაზრო რისკი (იხილეთ 15 (გ)(iv));

(ი) რისკების მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აქვს ზოგადი პასუხისმგებლობა მშობელი კომპანიის (შპს „Barwil Agencies AS., Norway“) რისკების მართვის სტრუქტურასთან შესაბამისობაზე.

„კომპანიის“ რისკების მართვის პოლიტიკები შეიქმნა იმისათვის, რომ დადგინდეს და გაანალიზდეს მშობელი კომპანიის წინაშე არსებული რისკები, განისაზღვროს რისკის სათანადო ზღვარი და კონტროლის მექანიზმები, ასევე განხორციელდეს რისკების მონიტორინგი და დადგენილი ზღვრის მკაცრი დაცვა. რისკების მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება, რათა აისახოს შესაბამისი ცვლილებები საბაზრო პირობებში და „კომპანიის“ საქმიანობაში.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „კომპანიის“ ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი მეორე მხარე ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ის ძირითადად წარმოიშობა „კომპანიის“ კლიენტების მიმართ არსებული სავაჭრო მოთხოვნებიდან.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო დაქვემდებარებას (ყველა მოცემული ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება „ამორტიზირებული ღირებულების“ კატეგორიაში) და არის შემდეგი:

ლარი	2018	2017
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,784,363	2,577,804
სავაჭრო მოთხოვნები	340,275	375,976
გაცემული სესხები	-	1,555
აღიარებული ფინანსური აქტივები	3,124,638	2,955,335

გადაფასების შედეგად მიღებული გაუფასურების ზარალი ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში და არის შემდეგი:

ლარი	2018	2017
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ზარალი/(აღდგენა)	(19,625)	45,694
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაუფასურების ზარალი	-	9,307
	(19,625)	55,001

გაცემული სესხები

კომპანია გასცემს სესხებს თავის დაკავშირებულ მხარეებზე. ასეთი სესხების საბალანსო ღირებულებები 2018 წლის 31 დეკემბერს, 2017 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 1 იანვარს უტოლდებოდა ნულს, 1,555 ლარს და 502,614 ლარს, შესაბამისად. გაცემულ სესხები არ არის უზრუნველყოფილი. კომპანიას არ უღიარება ანარიცხი გაცემულ სესხებზე, რადგან ისინი არის მოთხოვნამდე და არ გააჩნია დეფოლტის მაღალი ალბათობა.

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებაზე ძირითადად თითოეული კლიენტის ინდივიდუალური მახასიათებლები მოქმედებს. თუმცა, ხელმძღვანელობა ასევე განიხილავს ფაქტორებს, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ კომპანიის კლიენტთა ბაზის საკრედიტო რისკზე, მათ შორის იმ ინდუსტრიისა და ქვეყნის დეფოლტის რისკი, რომელშიც ფუნქციონირებენ კლიენტები. კომპანიის შემოსავლის დაახლოებით 85% ძირითადად ორ მთავარ ქართულ კლიენტთან განხორციელებულ გაყიდვის ოპერაციებს უკავშირდება.

კომპანია არ მოითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში. კომპანიას არ გააჩნია ისეთი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომლებისთვისაც არ არის აღიარებული ზარალის რეზერვი უზრუნველყოფის არსებობის გამო.

2018 წლის 31 დეკემბერს, 2017 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 1 იანვარს კომპანიას ძირითადად ჰყავდა ერთი მყიდველი, რომელიც არის დაკავშირებული მხარე და გააჩნია კომპანიის მიმართ 295,443 ლარის ოდენობით დავალიანება, რაც წარმოადგენს მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების 87%-ს (2017 წლის 31 დეკემბერს: 294,776 ლარი, 78%-ს და 2017 წლის 1 იანვარს: 121,348 ლარს, 62%-ს).

სავაჭრო მოთხოვნების ვადიანობა ანგარიშგების თარიღისთვის იყო შემდეგი:

ლარი	ბრუტო 31 დეკემბერი 2018	გაუფასურება 31 დეკემბერი 2018	ბრუტო 31 დეკემბერი 2017	გაუფასურება 31 დეკემბერი 2017	ბრუტო 1 იანვარი 2017	გაუფასურება 1 იანვარი 2017
არავადაგადაცილებული	302,661	(641)	344,345	(21,028)	173,611	(4,134)
1-30 დღემდე						
ვადაგადაცილება	34,891	(1,550)	23,175	(1,390)	4,893	(294)
30-90 დღემდე						
ვადაგადაცილება	5,142	(228)	15,846	(951)	23,775	(1,427)
90-180 დღემდე						
ვადაგადაცილება	1,365	(1,365)	5,708	(343)	-	-
180 დღეზე მეტი						
ვადაგადაცილება	980	(980)	11,291	(677)	6,788	(6,788)
	345,039	(4,764)	400,365	(24,389)	209,067	(12,643)

კომპანიას სჯერა, რომ ვადაგადაცილებულ, არა-გაუფასურებულ თანხებს, ჯერ კიდევ ამოიღებს, წარსულ გამოცდილებაზე და შესაბამისი მომხმარებლების საკრედიტო რეიტინგის ანალიზზე დაყრდნობით (ხელმისაწვდომობის შემთხვევაში).

სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით გაუფასურების რეზერვის მოძრაობა წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

ლარი	2018	2017
გაუფასურების რეზერვი 1 იანვარს	24,389	12,643
აღიარებული გაუფასურების (აღდგენა)/ზარალი	(19,625)	45,694
ფინანსური აქტივების საპირწონედ ჩამოწერილი ოდენობები	-	(33,948)
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბერს	4,764	24,389

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2018 წლის 31 დეკემბერს, 2017 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 1 იანვარს კომპანია ფლობს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს ოთხ ქართულ ბანკში. ოთხივე მათგანს გააჩნია ფიტჩის სარეიტინგო სააგენტოს და S&P Global Ratings მიერ მინიჭებული მოკლე ვადიანი ემიტენტის დეფოლტ-რეიტინგი B. ხელმძღვანელობა არ ელის, რომ რომელიმე კონტრაპენტი ვერ შეძლებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და შესაბამისად, კონტრაპენტების გარე საკრედიტო რეიტინგებზე დაყრდნობით კომპანიას მიაჩნია, რომ მის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გაუფასურება შეფასებულია 12-თვიანი მოსალოდნელი ზარალის საფუძველზე და ასახავს დაქვემდებარებების მოკლე ვადიანობას.

2017 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 1 იანვარს კომპანიამ ხარჯად აღიარა გაუფასურების რეზერვი, 9,307 ლარის და 9,632 ლარის ოდენობით, შესაბამისად. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ იქნა აღიარებული დამატებითი გაუფასურების რეზერვი.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრების ან ფინანსური აქტივების საშუალებით. კომპანია შეძლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულებების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში არასაჭირო დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

კომპანია უზრუნველყოფს, რომ მას ჰქონდეს სათანადო მოთხოვნამდე ფულადი სახსრები მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯების დასაკმაყოფილებლად 3-თვიანი პერიოდისთვის, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების მომსახურების ჩათვლით; ეს გამორიცხავს ისეთი

ექსტრემალური ვითარებების პოტენციურ გავლენას, რომელთა გონივრულ ფარგლებში წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, მაგალითად ბუნებრივი კატასტროფები.

კომპანია, მის ლიკვიდურობის რისკს ხანდაზმულობის ცხრილების საშუალებით მართავს. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება, ხელშეკრულების მიხედვით, ანგარიშგების თარიღიდან (2018 წლის 31 დეკემბერი) ერთი თვის განმავლობაში უნდა დაკმაყოფილდეს. ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გადინების ვადები არ აჭარბებს ერთ წელს.

ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ანგარიშგების თარიღებისთვის, კომპანიის ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება არ არის არსებითი.

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციასთან ერთად.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს, რადგან არსებობს შეუსაბამობა გაყიდვების, შესყიდვებისა და კრედიტების ვალუტებსა და კომპანიის სამუშაო ვალუტას შორის. ვალუტა, რომელშიც უმეტესად არის დენომინირებული ოპერაციები ევრო და აშშ დოლარია.

კომპანიას არ გააჩნია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების წმინდა დაქვემდებარების მართვის პოლიტიკა.

სავალუტო რისკზე დამოკიდებულება

კომპანიის დაქვემდებარება სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2018	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2018	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2017	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2017	აშშ დოლარში დენომინირებული 1 იანვარი 2017	ევროში დენომინირებული 1 იანვარი 2017
სავაჭრო მოთხოვნები	343,415	-	400,267	-	208,104	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	1,023,711	1,161,402	1,327,667	1,184,155	249,069	1,136,614
სავაჭრო ვალდებულებები	-	-	-	(408)	-	(910)
წმინდა დაქვემდებარება	1,367,126	1,161,402	1,727,934	1,183,747	457,173	1,135,704

წლის განმავლობაში დაფიქსირდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო კურსი		ანგარიშგების წარდგენის თარიღით არსებული კურსი		
	2018	2017	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
1 აშშ დოლარი	2.5345	2.5086	2.6766	2.5922	2.6468
1 ევრო	2.9913	2.8322	3.0701	3.1044	2.794

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის კურსის 10%-იანი შესუსტება, ქვემოთ მითითებულის შესაბამისად, ყველა სხვა ვალუტასთან მიმართებაში 31 დეკემბრის მდგომარეობით გაზრდიდა/(შემცირებდა) მოგებას ან ზარალს ქვემოთ ნაჩვენები ოდენობით. ანალიზის მიზნებისთვის მიჩნეულია, რომ ყველა სხვა ცვლადი მაჩვენებელი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება და ის არ ითვალისწინებს გაყიდვებისა და შესყიდვების პროგნოზის ნებისმიერი სახის გავლენას.

ლარი	მოგება ან ზარალი	
	ზრდა	შემცირება
31 დეკემბერი 2018		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	136,713	(136,713)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	116,140	(116,140)
31 დეკემბერი 2017		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	172,793	(172,793)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	118,375	(118,375)
1 იანვარი 2017		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	45,717	(45,717)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	113,570	(113,570)

(v) საპროცენტო განაკვეთის რისკი

ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად ექვემდებარება კომპანია ფიქსირებულ ან ცვლად განაკვეთებს.

საპროცენტო განაკვეთის რისკზე დამოკიდებულება

ანგარიშგების თარიღში კომპანიის პროცენტის ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის პროფილი იყო შემდეგი:

ლარი	საბალანსო ღირებულება		
	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტები			
გაცემული სესხები	-	1,555	502,614
ბანკში არსებული ნაშთები	2,740,555	2,529,700	1,345,777
სულ ფინანსური აქტივები	2,740,555	2,531,255	1,848,391

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულ-განაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

კომპანია არ აღრიცხავს ფიქსირებულ-განაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ან გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიაში. შესაბამისად, ცვლილება საპროცენტო განაკვეთებში ანგარიშგების თარიღისთვის არ იმოქმედებდა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

16. პირობითი ვალდებულებები

(ა) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელიწადი, საგადასახადო ორგანოების მხრიდან მიმოხილვისთვის, რჩება ღია სამი თანმიმდევრული წელიწადის განმავლობაში, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში საგადასახადო წელიწადი შეიძლება უფრო დიდხანს დარჩეს ღია.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით მაღალია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისგან და თუ საგადასახადო ორგანომ შესძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის და მოცემული ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, კომპანიას, საქართველოს შემოსავლების სამსახურთან (შემოსავლების სამსახური) აქვს მიმდინარე დავა. ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული საკითხი აქტუალურია 2004 წლიდან, რომლებიც მესაკუთრეებს მრავალი წლის წინ გადაეცათ, რომელზეც დამხმარე დოკუმენტაცია არ იყო შენახული კომპანიის მიერ, რადგან მას შემდეგ 6 წელი გავიდა (საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საწარმო ვალდებულია, ბოლო 6 წლის დამხმარე დოკუმენტაცია შეინახოს). შემოსავლების სამსახური, მოცემული ტვირთის გადაზიდვაზე დამხმარე დოკუმენტაციის არქონის შესახებ დავობს. ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის საქმე კვლავ მიმდინარეობს და კომპანიის ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ მას, მისი პოზიციის დასაცავად, საკმარისი ტექნიკური და იურიდიული საფუძველი გააჩნია.

(ბ) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ეტაპზეა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებული დაზღვევის მრავალი სახეობა, ზოგადად, ჯერ ხელმიუწვდომელია საქართველოსთვის. კომპანიას სრულად აქვს დაზღვეული ძირითადი საშუალებები და ქონების და გარემოს დაზიანების გამო მესამე მხარის ვალდებულება, რომელიც წარმოიშვება კომპანიის ოპერაციების შედეგად მომხდარი უბედური შემთხვევების საფუძველზე. თუმცა კომპანიას სრულად არ აქვს დაზღვეული ბიზნეს-საქმიანობის წყვეტა, და მაინც არსებობს რისკი, რომ კონკრეტული აქტივის განადგურებით ან დაკარგვით კომპანიის საოპერაციო და ფინანსურ მდგომარეობას მიაღწევა არსებითი ზიანი.

17. დაკავშირებული მხარეები

(ა) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიას ფლობს შპს „Barwil Agencies AS., Norway“ (50%) და „TEE and TEE Shipping Limited, UK“ (50%). შპს „Barwil Agencies AS., Norway“-ს და „TEE and TEE Shipping Limited, UK“-ის საბოლოო მაკონტროლებელ მხარეებს წარმოადგენენ ფიზიკური პირები ტომას ვილჰელმსენი და ჯემალ ინაიშვილი, შესაბამისად.

(ბ) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

(i) წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება წლის განმავლობაში, რომელიც პერსონალის ხარჯებშია შესული (იხილეთ შენიშვნა 7):

ლარი	2018	2017
ხელფასები	325,751	316,541
ბონუსები	27,550	13,588
სხვა	10,526	8,878
	363,827	339,007

(ii) სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

გაცემული სესხები	დაუფარავი ნაშთები			ოპერაციის ღირებულება წლის განმავლობაში	
	31 დეკემბერს 2018	31 დეკემბერს 2017	1 იანვარს 2017	2018	2017
ჯგუფში შემავალი სხვა შვილობილი კომპანიები	-	1,555	502,614	377,236	580,000
გაწეული მომსახურება					
ჯგუფში შემავალი სხვა შვილობილი კომპანიები	320,196	302,046	138,441	3,281,338	2,429,234
მიღებული მომსახურება					
ჯგუფში შემავალი სხვა შვილობილი კომპანიები	-	-	-	81,287	80,367

18. შემდგომი მოვლენები

2019 წლის 9 ოქტომბერს კომპანიის მფლობელებმა (LLC Barwil Agencies A.S., Norway (50%) and TEE and TEE Shipping Limited, UK (50%)) გადაწყვიტეს გაესხვისებინათ თავიანთი 100% წილი შპს Medlog Georgia Development - ისთვის. კომპანია, მის ჩვეულ საქმიანობას შპს „Medlog Georgia Development“-ის მფლობელობის ქვეშ გააგრძელებს. გაყიდვის ოპერაციას, მოცემული ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, ადგილი არ ჰქონია.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების საფუძველზე, 2018 წლის 12 მაისს, კომპანიასა და შპს „Medlog Georgia Development“-ს შორის დადებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება 49,597.15 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთის გაყიდვაზე (შენიშვნა 12(ბ)), 2019 წლის 26 ნოემბერს გაუქმდა.

2019 წლის 29 მარტს შპს „B and P“-მ (კომპანია საწარმოს 20%-ს ფლობს) კომპანიას 400,000 ლარის ოდენობით დივიდენდები გადაუხადა.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში და მათ კომპანია თანმიმდევრულად იყენებს.

კომპანიამ ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (ფასს 9) და ფასს 15 „შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ (ფასს 15) ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის (2017 წლის 1 იანვარი) მიიღო. ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკები წარმოდგენილია ფასს 9-ის და ფასს 15-ის ნაადრევი გამოყენების საფუძველზე.

ქვემოთ განსაზღვრულია მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების ინდექსები, რომელთა შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია მითითებულ გვერდებზე:

(ა)	შემოსავალი	27
(ბ)	ფინანსური შემოსავალი და ხარჯები	27
(გ)	უცხოური ვალუტა	28
(დ)	თანამშრომელთა სარგებელი	28
(ე)	მარაგები	28
(ვ)	კაპიტალი	28
(ზ)	მოგების გადასახადი	29
(თ)	ინვესტიციები	29
(ი)	ძირითადი საშუალებები	30
(კ)	ფინანსური ინსტრუმენტები	31
(ლ)	გაუფასურება	33
(მ)	ანარიცხები	34

(ა) შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია აკმაყოფილებს თავის ნაკისრ ვალდებულებას დაპირებული საქონლის კლიენტზე გადაცემით. როდესაც ნაკისრი ვალდებულება დაკმაყოფილებულია, კომპანია შემოსავლად გარიგების ფასის ოდენობას აღიარებს, რაც გამორიცხავს მესამე მხარეების სახელით შეგროვებულ თანხებს.

(ი) გაწული მომსახურების სახეობა

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის კონტეინერების აწევა, შენახვა და დაცლა და სხვა სატერმინალო მომსახურების გაწევა. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავალი აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია აკმაყოფილებს თავის ნაკისრ ვალდებულებას დაპირებული საქონლის კლიენტზე გადაცემით. კომპანიის ნაკისრი ვალდებულება სრულდება მომსახურების გაწევის შემდეგ. შემოსავალი აღიარდება დროის განმავლობაში ხარჯი-ხარჯთან მეთოდის გამოყენებით. დაკავშირებული ხარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწვისთანავე.

მომსახურების სახეობა	ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ბუნება, ვადები და მნიშვნელოვანი გადახდის პირობები
კონტეინერების აწევა, შენახვა, დაცლა და სხვა სატერმინალო მომსახურება	კომპანიის ნაკისრ ვალდებულებას წარმოადგენს მომსახურების გაწევა. ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევისთვის ერთ დღეზე ნაკლებია აუცილებელი. შემოსავალი მომსახურების გაწევის დღეს აღიარდება, ინვოისები როგორც წესი გადაიხდება 40 დღის განმავლობაში.

(ბ) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი;
- საპროცენტო ხარჯი;
- ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

„ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის განაკვეთი რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის მიხედვით:

- ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე;

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის გამოთვლისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის გაუფასურებული კრედიტით) ან ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაუფასურდა, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა უზრუნდება მთლიანი საბალანსო ღირებულებაზე დათვლის მეთოდს.

ფინანსური ხარჯები მოიცავს საპროცენტო ხარჯს სესხებსა და კრედიტებზე უცხოური გაცვლითი კურსით გამოწვეულ ზარალს.

ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება ან/და ზარალი აღირიცხება ნეტო საფუძველზე როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა მოგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

(გ) უცხოური ვალუტა

(i) ოპერაციები უცხოური ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება ან ზარალი ფულად ერთეულებზე წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული, მოქმედი ვალუტის ამორტიზირებადი ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებადი ღირებულების სხვაობას.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არის შეფასებული კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღში მოქმედი გაცვლითი კურსით. არაფულადი ერთეულები, რომელთა ისტორიული ღირებულება უცხოურ ვალუტაშია შეფასებული, კონვერტირდება ოპერაციის თარიღისათვის არსებული შესაბამისი კურსით.

(დ) თანამშრომელთა სარგებელი

თანამშრომელთა მოკლევადიანი ანაზღაურების ვალდებულებები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ თანხით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსების ან მოგების განაწილების გეგმების საფუძველზე, თუ კომპანიას აქვს მიმდინარე სამართლებრივი და კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ამგვარი თანხა თანამშრომლის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად, და ამგვარი ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული.

(ე) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის ღირებულება გამოიანგარიშება საშუალო შეწონილი ხარჯის პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე და პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მოსაყვანად.

საქმიანობის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ გასაყიდ ფასს, გამოკლებული დასრულების და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯები.

(ვ) კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

(ზ) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება საწარმოთა გაერთიანებას, ან პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი მოიცავს მოსალოდნელ საგადასახადო ვალდებულებებს ან მოთხოვნებს წლის დასაბეგრ შემოსავალზე ან ზარალზე, ისეთი საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის და წინა წლებთან მიმართებაში საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი ცვლილების გამოყენებით. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებს და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებს და ზღვარს გადაცდენილ წარმომადგენლობით ხარჯებს.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც ხორციელდება დივიდენდების გადახდა.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო საფუძვლებს და მათ საბალანსო ღირებულებებს და, შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიშობა.

წინა წლებში დაგროვილი საგადასახადო ზარალი არ გამოიყენება მომავალ დასაბეგრ მოგებასთან მიმართებაში.

(თ) ინვესტიციები

კომპანიის წილები სხვა კომპანიებში მოიცავს წილებს მეკავშირე კომპანიებში.

მეკავშირე კომპანიები არის საწარმოები რომლებზეც კომპანიას არსებითი გავლენა აქვს, მაგრამ არ აკონტროლებს მათ და არ აქვს საერთო კონტროლი მის ფინანსურ და საოპერაციო პოლიტიკებზე. მნიშვნელოვანი გავლენა არსებობს მაშინ როდესაც კომპანია სხვა საწარმოში ფლობს ხმის მიცემის უფლების 20%-დან 50% -მდე.

წილი მეკავშირე კომპანიებში აღირიცხება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების ზარალი. კომპანია იყენებს აღრიცხვის კაპიტალის მეთოდისგან გათავისუფლებას, ბასს 28 -ის ნებართვის მიხედვით - ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში. გამონაკლისის გამოყენებისთვის აუცილებელი ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია კომპანიის მიერ. ინვესტიციის ღირებულება მოიცავს გარიგების ხარჯებს.

(ი) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი აკუმულირებული გაუფასურების ზარალი. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება 2017 წლის 1 იანვარს (ფასს-ზე გადასვლის თარიღი), მოცემული თარიღისთვის მისი სამართლიანი ღირებულების გამოყენებით განისაზღვრა („სავარაუდო ღირებულება“).

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. თვითწარმოებული აქტივის ღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი დანახარჯების ღირებულებისაგან, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოყვანას, ერთეულების დემონტაჟის და გატანის ხარჯებს და ადგილმდებარეობის დასუფთავების სამუშაოების ჩატარების ღირებულებას, ასევე კაპიტალიზებული სესხის ხარჯებს. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალებების ღირებულების ნაწილის სახით.

როდესაც ძირითადი საშუალების ნაწილებს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ძირითადი კომპონენტები.

ძირითადი საშუალებების გაყიდვით მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება გაყიდვიდან მიღებული ამონაგების ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება ნეტო სახით, მოგებაში ან ზარალში სხვა შემოსავლის/სხვა ხარჯების ფარგლებში.

(i) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია რომ დანახარჯთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება .

ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწვევითანავე.

(ii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულები ექვემდებარება ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზა მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან „კომპანიის“ შიდა ძალებით დამზადებულ აქტივთან მიმართებაში, მათი დასრულების და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის თარიღიდან. ცვეთა ეფუძნება აქტივის ღირებულებას, მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის მიხედვით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებული აქტივების ცვეთა ხდება იჯარის ვადასა და აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესით, თუ გონივრულ ფარგლებში აშკარა არ იქნება, რომ „კომპანია“, იჯარის ვადის ბოლოსთვის, აქტივზე საკუთრების უფლებას მიიღებს. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების ერთეულების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადა, მიმდინარე და შესადარის პერიოდში, შემდეგია:

- | | |
|----------------------------|-------------|
| • შენობა-ნაგებობები | 30-40 წელი; |
| • მანქანა-დანადგარები | 6-16 წელი; |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 3-10 წელი; |
| • ავეჯი და მოწყობილობები | 3-5 წელი. |

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასებები ძირითადი საშუალებების შეფასების საფუძველზე განისაზღვრა, რომელიც 2017 წლის 1 იანვარს (კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღი) სავარაუდო ღირებულების დასადგენად ჩატარდა.

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება თითოეული ფინანსური წლის ბოლოს და, შესაბამის შემთხვევაში, იცვლება საჭიროებისამებრ.

(კ) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება წარმოშობის მომენტში.

ყველა სხვა ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება როდესაც კომპანია ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე ხდება. ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა არსებითი ფინანსური კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული (არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ერთეულისთვის) მის შემენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა არსებითი ფინანსური კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ღირებულებით.

(ii) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9-ის ფარგლებში, პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება: ამორტიზირებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ვალის ინვესტიცია; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - კაპიტალის ინვესტიცია; ან სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების ფასს 9-ის მიხედვით კლასიფიკაცია ძირითადად იმ ბიზნეს მოდელს ეფუძნება რომლის ფარგლებშიც იმართება მოცემული ფინანსური აქტივი და მის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებს.

ფინანსური აქტივი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს შემდგომ მოყვანილ ოროივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულება მოგება ან ზარალში ასახვით:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავი ძირ თანხაზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასებისას შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკები გამოიყენება:

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები	მოცემული აქტივები შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზირებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით (იხილეთ (iii) ქვემოთ). საპროცენტო შემოსავალი, უცხოური გაცვლითი კურსით გამოწვეული შემოსულობა და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი აღიარების შეწყვეტისას აღიარდება მოგებაში ან ზარალში.
სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული ვალის ინვესტიციები	მოცემული აქტივები შემდგომ ფასდება სამართლიანი ღირებულებით. საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით, უცხოური გაცვლითი კურსით მიღებული შემოსულობა და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა წმინდა შემოსავალი და ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში. აღიარების შეწყვეტისას, სხვა სრულ შემოსავალში დაგროვილი შემოსულობა და ზარალი მოგებაში ან ზარალში არის რეკლასიფიცირებული.

(iii) ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მიხედვით, ზარალის რეზერვები ფასდება შემდეგიდან ერთ-ერთის საფუძველზე:

- 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი რომელიც წარმოიშობა ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან; და
- არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რომელიც წარმოიშობა ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

კომპანიამ, ზარალის რეზერვების სავაჭრო მოთხოვნებზე, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით შეფასების გადაწყვეტილება მიიღო.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევების გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს დეფოლტირებულად მიიჩნევს მაშინ როდესაც:

- არ არის სავარაუდო რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსურ აქტივი 90 დღეზე მეტია ვადაგადაცილებულია;

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს რომლის განმავლობაშიც კომპანია დაქვემდებარებულია საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ალბათობაზე დაფუძნებული სავარაუდო საკრედიტო ზარალი. საკრედიტო ზარალი ფასდება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით

(ანუ სხვაობა ორგანიზაციიდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების წარდგენა

ზარალის რეზერვი ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე აქტივების მთლიან საბალანსო ღირებულებას აკლდება.

(ლ) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები (რომლებიც არ არის სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული) ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის იმის განსასაზღვრად, არსებობდა თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი მიჩნეული იყო გაუფასურებულად თუ ობიექტური მტკიცებულება მიანიშნებდა იმაზე, რომ ზარალის შემთხვევა დამდგარია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ და რომ ზარალის შემთხვევას ჰქონდა საიმედოდ შეფასებადი უარყოფითი გავლენა, აქტივის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შესაძლოა მოიცავს შემდეგს:

- მოვალის ვადაგადაცილება ან დეფოლტი;
- კომპანიის მხრიდან ვადადამდგარი მოთხოვნების რესტრუქტურისაცა ისეთ პირობებზე, რომლებსაც კომპანია სხვაგვარად არ განიხილავდა;
- ნიშნები იმისა, რომ მოვალე ან ემიტენტი გაკოტრდება;
- მსესხებლების ან ემიტენტის გადახდის სტატუსის უარყოფითი ცვლილება კომპანიაში;
- ეკონომიკური პირობები რომელიც უკავშირდება დეფოლტს;
- უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა; ან
- დაკვირვებადი მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ, რომ ადგილი აქვს შეფასებად კლებას მოსალოდნელ ფულად ნაკადებში ფინანსური აქტივების ჯგუფიდან.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

კომპანია მოცემულ აქტივებზე გაუფასურების მტკიცებულებას ინდივიდუალური აქტივის დონეზე განიხილავს. ყველა ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი აქტივები ინდივიდუალურად ფასდება გაუფასურებაზე.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალი გამოითვლება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში და ასახება რეზერვის ანგარიშზე. როდესაც კომპანია მიიჩნევს რომ არ არსებობს აქტივის აღდგენის რეალური პერსპექტივა, შესაბამისი ოდენობები ჩამოიწერება. გაუფასურებულ აქტივზე პროცენტის აღიარება გაგრძელდება დისკონტირების დაბრუნების გზით. როდესაც შემდგომი მოვლენა იწვევს გაუფასურების ზარალის კლებას და კლება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდგომ დამდგარ მოვლენას, გაუფასურების ზარალის კლება აღდება მოგებაში ან ზარალში.

(ii) არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების გარდა) გადაიხედება ანგარიშგების წარდგენის ყოველი თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა

გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება.

გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების შემოძინებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც ძირითადად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოძინებისგან.

კომპანიის კორპორატიული აქტივები არ ახდენენ ცალკე ფულადი ნაკადების გენერირებას და ისინი გამოიყენება ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთზე მეტი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები ნაწილდება ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულზე გონივრულ და მუდმივ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე, როგორც ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ნაწილი, რომელზეც განაწილებულია კორპორატიული აქტივი.

აქტივის ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება (გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით) ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მის მოსალოდნელ აღდგენად ღირებულებას აღემატება.

(მ) ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ შემთხვევაში თუ, წარსული მოვლენების შედეგად, კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება რომლის შეფასებაც საიმედოდ არის შესაძლებელი, და სავარაუდოა, რომ ამ ვალდებულების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იქნება კომპანიიდან ეკონომიკური სარგებელის გადინება. ანარიცხები გამოითვლება მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების, გადასახადების გადახდამდე არსებული განაკვეთით დისკონტერებით, რაც ასახავს ფულის ღირებულების დროში მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების განაწილება აღიარდება როგორც ფინანსური ხარჯი.

20. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები და კორექტირებები სტანდარტებში, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. უფრო ადრეული მოხმარებაც ნებადართულია. თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა ეს ცვლილებები მიღებული ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

ფასს 16 ანაცვლებს არსებულ საიჯარო სახელმძღვანელოს, ბასს 17 იჯარების ჩათვლით, ფასიკ 4 - შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას, იმკ-15 - საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და იმკ-27 - გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას.

სტანდარტი ძალაშია ყოველწლიური პერიოდებისთვის 2019 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გამოყენება ნებადართულია. ხელმძღვანელობა აანალიზებს ახალი სტანდარტების პოტენციურ ზეგავლენას და მოელის, რომ მათ არ ექნებათ არსებითი გავლენა მის ფინანსურ მდგომარეობაზე ან ვალდებულებების შესრულებაზე.

შპს ბარვილ ჯორჯია

2018 წლის მმართველობითი ანგარიშგება

სარჩევი

შესავალი	3
სტრატეგიული განვითარების გეგმა.....	3
ძირითადი ფინანსური ინფორმაცია	5
სხვა ფინანსური ინფორმაცია	6
რისკების მართვა	6
ადამიანური რესურსების მართვა	8
ორგანიზაციის სტრუქტურა.....	8

შესავალი

შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე კომპანია „ბარვილ ჯორჯია“ დაარსდა 1996 წლის 13 მარტს. კომპანიის აქციონერები არიან: შპს „Barwil Agencies A.S., Norway“ (50%) და „TEE and TEE Shipping Limited, UK“ (50%). კომპანიის რეგისტრაციის ნომერი: 215083139.

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: ტაბიძის ქუჩა 3, ფოთი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ტერმინალის, კონტეინერების დამუშავების (დატვირთვა, ჩამოცლა) და შენახვის მომსახურების გაწევა. შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს საექსპორტოდ გამზადებული ან იმპორტირებული ტვირთის შენახვა, კონტეინერების სატვირთო ავტომობილებიდან ჩამოტვირთვა და ავტომობილებზე დატვირთვა. უმნიშვნელო ნაწილს კი - კონტეინერების ჩამოცლა. სხვა დამატებით შეთავაზებული სერვისები მოიცავს აწონვა, გადაზიდვასა და სარკინიგზო ხაზის გამოყენებას.

კომპანია ფლობს და ოპერირებისათვის იყენებს 6.94 ჰექტარი ფართობის მქონე ტერმინალის სივრცეს, რომელიც ფოთის პორტის მთავარი შესასვლელიდან 200 მეტრში მდებარეობს, რის შედეგადაც ის პორტთან ყველაზე ახლოს მდებარე ტერმინალს წარმოადგენს.

კომპანიის სამომხმარებლო პორტფელი დივერსიფიცირებული არ არის, მთავარი მომხმარებელი არის შპს „MSC Georgia“, რომლიდანაც მიღებული შემოსავალი, მთლიანი შემოსავლის დაახლოებით 73%-ს წარმოადგენს, თუმცა MSC არ არის ვალდებული რომ მიმართოს „ბარვილის“ ტერმინალს. მომდევნო ყველაზე დიდი მომხმარებელი არის Wilhelmsen Ships Service Georgia რომლიდანაც მიღებული შემოსავალი 11%-ია. დანარჩენი მომხმარებლებიდან მიღებული შემოსავალი ძალიან მცირეა, რომელიც 2%-ს არ აჭარბებს.

2018 წლის 12 მაისს, კომპანიის აქციონერებმა, დაკავშირებულ მხარეზე, შპს „Medlog Georgia Development“-ზე, მიწისა და შენობების ნაწილის გაყიდვა გადაწყვიტეს. ხელმძღვანელობა, გაყიდვიდან მიღებული შემოსულობების ბიზნეს რესტრუქტურისაში და პროცესის ოპტიმიზაციაში რეინვესტირებას გეგმავდა.

შპს „ბარვილ ჯორჯიას“ და დაკავშირებულ მხარეს, შპს „Medlog Georgia Development“-ს შორის, 2018 წლის 12 მაისს დადებული, 2,561,000 აშშ დოლარის ოდენობაზე (დღგ-ს გამოკლებით) ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, კომპანიის 69,400 კვ. მეტრი ფართობის მქონე მიწის ნაკვეთიდან 49,597.15 კვ. მეტრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უძრავ-მოდრავი ქონების მნიშვნელოვანი ნაწილის გაყიდვასთან დაკავშირებით, 2019 წლის 26 ნოემბერს იქნა გაუქმებული.

2019 წლის 9 ოქტომბერს, კომპანიის მფლობელებმა (შპს „Barwil Agencies A.S.“, ნორვეგია (50%) და „TEE“ და „TEE Shipping Limited Limited“, გაერთიანებული სამეფო (50%)) მათი კომპანიის აქციების 100%-ის, დაკავშირებულ მხარეზე, შპს „Medlog Georgia Development“-ზე გაყიდვა გადაწყვიტეს.

სტრატეგიული განვითარების გეგმა

2018 წლის 31 დეკემბერს ხელმძღვანელობას, სტრატეგიული განვითარების შემდეგი გეგმა ჰქონდა:

განიხილებოდა თბილისის მშრალ პორტის ტერმინალში (Tbilisi Dry Port) ინვესტირება, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა თანამედროვე ტექნოლოგიებით და დააკმაყოფილებდა „ა“ კლასის სტანდარტებს. ტერმინალს ექნებოდა შესაძლებლობა შეეთავაზებინა კლიენტებისთვის უნიკალური სერვისები, როგორებიცაა: ტერმინალის და საწყობის სერვისი (ცივი/მშრალი საწყობი), საკონტეინერო სერვისი (სარკინიგზო და სატვირთო მანქანა) და სატვირთო მანქანების სერვისი (TIR).

აგრეთვე:

- კავშირების გაღრმავება მეზობელ ქვეყნებთან (რომელიც ასევე მოიაზრებს ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალს) რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს, როგორც რეგიონალური ჰაბის ჩამოყალიბებას.
- დამატებით, ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება იძლევა ახალ შესაძლებლობებს რომელიც რეალიზებული იქნება მხოლოდ მაშინ როცა ქართული სტანდარტები (ლოჯისტიკასა და სხვა სფეროებში) აყვანილი იქნება ევროპულ დონემდე.
ამ შესაძლებლობის გამოყენების დასაწყებად, საქართველოს მთავრობამ 2016 წელს ჩაატარა მიზნობრივი შესწავლა საქართველოში ლოჯისტიკური ცენტრების შესახებ. მიზანშეწონილობის კვლევა აწარმოა გერმანულმა კომპანიამ Dornier Consulting- მა და გაირკვა, რომ თბილისი არის საუკეთესო ადგილი ლოჯისტიკური ცენტრის დასაარსებლად.
- 2019 წელს იანვარ-აგვისტოში მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნა ფოთში იმპორტირებული და ექსპორტირებული კონტეინერებზე, რაც წინა წლის იმავე პერიოდზე 45%-ით მეტია.
თუ წინასწარი პროგნოზებზე დაყრდნობით, ტენდენცია შენარჩუნდება, მხოლოდ ფოთს ექნება 507,000 ფუტის ექვივალენტი ერთეული (TEU) 2019 წელს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მონაცემები შეფასდა არა უადრეს 2020 წლისა. ჩვენი გათვლებით თბილისის მშრალი პორტის ოპერირების პირველივე წელს უნდა მივიღოთ 81,760 TEU. მიღებული კონტეინერების რაოდენობა 130,306 -ით გაიზრდება ოპერირების მე-7 წელს.
- და ბოლოს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი არის გაზრდილი მოთხოვნა ლოჯისტიკური მომსახურებების აუტოსორსინგზე, რაც გამოწვეულია საერთაშორისო საცალო ვაჭრებისა და დისტრიბუტორების შემოსვლასთან ქართულ ბაზარზე. ჩვენ გავაანალიზეთ და წარმოვადგინეთ საქართველოში არსებული ძირითადი დილერებისა და გადამყიდველთა სია. თავდაპირველი მოკვლევის საფუძველზე, თბილისის მშრალი პორტის იდეა მათთვის ძალზე საინტერესო და მიმზიდველი ჩანს.

მიზანშეწონილობის საწყისი კვლევა ჩატარდა თბილისში, 22 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე. კაპიტალური ხარჯები დაანგარიშდა თანამედროვე კონტეინერის ტერმინალის საჭიროებისა და მოთხოვნების შესაბამისად. მიზანშეწონილობის შესწავლისას, გაანალიზებულია ლოგისტიკისა და საწყობის შესახებ არსებული ყველა სამაუწყებლო მოხსენება, ასევე ჩატარდა სავსე გამოკვლევა და კონკურენტების კვლევა.

ბიზნეს იდეა გულისხმობდა თბილისში შექმნილიყო რეგიონალური ლოგისტიკური ჰაბი, რომელიც ტრანსპორტირებას მოახდენდა ფოთიდან და ბათუმიდან სარკინიგზო მაგისტრალით, ხოლო კლიენტების სახელით მოაწყოდა და შეინახავდა საქონელს მის 10,000 კვ.მ. საწყობში. 4000 კვ.მ ტემპერატურული რეჟიმის კონტროლირებადი, ხოლო დანარჩენი „ა“ - კატეგორიის მშრალი საწყობი. ექსპლუატაციის პირველი წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო 2 ბლოკი მატარებლის მიღება თბილისის მშრალ პორტში, ხოლო მეორე წლიდან დაემატებოდა მესამე ბლოკის მატარებელი. გარდა ამისა, ბიზნეს იდეა გულისხმობდა, რომ გაყინული საქონლის (ძირითადად ტკბილეულის) გაზრდილი ტრანსპორტირება მოხდებოდა უკრაინიდან თბილისში. 250,000 ტონა გაყინული ტვირთის გადაზიდვა მიზანშეწონილად მიიჩნედა საქართველოსა და მეზობელი ქვეყნებისთვის ყოველწლიური სიხშირით.

2019 წლის 9 ოქტომბერს კომპანიის მფლობელების ზემოაღნიშნული აქციების 100%-ის გაყიდვის გადაწყვეტილების საფუძველზე, ანგარიშგების თარიღის შემდგომ, კომპანიის ახალი მფლობელი შპს „Medlog Georgia Development“-ი იქნება. გაყიდვის გარიგებას, მოცემული მმართველობითი ანგარიშის დადასტურების და გამოშვების თარიღისთვის, ადგილი აქ ჰქონია. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანია თავის ჩვეულ საქმიანობას, შპს „Medlog Georgia Development“-ის მფლობელობის ფარგლებში გააგრძელებს.

ძირითადი ფინანსური ინფორმაცია

ლარი	2018	2017	ცვლილება, %
შემოსავალი	3,796,309	2,794,454	36%
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(1,369,618)	(1,237,572)	11%
მოგება/(ზარალი) და სხვა სრული შემოსავლი/(ზარალი)	737,176	236,002	212%
ძირითადი საშუალებები	7,686,363	8,205,841	-6%
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,785,521	2,578,018	8%

- 2018 წლის განმავლობაში, მთლიანობაში კომპანიის ოპერაციები გაიზარდა, რის შედეგადაც შემოსავალი გაიზარდა 1 მლნ ლარით.

კომპანიის შემოსავლის წყაროებია:

- აწევის მომსახურება (43.1%);
- კონტეინერების დასაწყობება ექსპორტისა და იმპორტისთვის (40.7%);
- ჩამოცლა (8.7%);
- სხვა ტერმინალის მომსახურება (7.6%)

კომპანიის მთავარი მომხმარებლები არიან: შპს „MSC Georgia“ და „Wilhelmsen Georgia“. ყველაზე დიდი შემოსავლის ზრდა სწორედ ზემოთ ხსენებულ კომპანიებთან არის დაკავშირებული.

მთავარი შემოსავლის წყარო Wilhelmsen Georgia -სგან არის აწევა და გადმოცლა. ხოლო MSC Georgia-სგან აწევა და შენახვა.

შემოსავლების შთამბეჭდავი ზრდის გათვალისწინებით, ასევე გაიზარდა რეალიზებული საქონლის თვითღირებულება 11% -ით, 2018 წლის განმავლობაში. ძირითადად, რეალიზებული საქონლის თვითღირებულება მოიცავს: ხელფასების ხარჯს, ცვეთის ხარჯს, საწვავის ხარჯებს და ტრანსპორტირების ხარჯებს.

შესაბამისად, მოგება და სხვა სრული შემოსავალი 2018 წლისთვის მკვეთრად გაიზარდა 212% -ით, რომელიც 501 ათას ლარს შეადგენს.

- კომპანიის ძირითადი საშუალებები მოიცავს: მანქანებს, სამანქანო დანადგარებს, მიწას, შენობა ნაგებობებს, გენერატორებს და ა.შ. ეს ობიექტები განლაგებულია თბილისისა და ფოთის ფილიალებში. 2018 წლის განმავლობაში კომპანიამ გაყიდა ბინა თბილისში და ორი სპეციალური ტექნიკა, რომლის ღირებულებამ 201 ათასი ლარი შეადგინა. წლის განმავლობაში არ იყო მნიშვნელოვანი დამატებები. ამრიგად, ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების შემცირება განპირობებულია განკარგვითა და წლიური ცვეთის საფასურით, რამაც გამოიწვია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების 6%-იანი შემცირება.

სხვა ფინანსური ინფორმაცია

ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2018	2017
პერსონალის ხარჯები	691,875	649,530
უსაფრთხოების და კომუნალური ხარჯები	347,535	331,362
სარემონტო ხარჯები	246,416	129,715
პერსონალის დაზღვევის ხარჯი	134,924	135,660
პროფესიული მომსახურება	90,625	38,033
ქონების გადასახადი	72,075	74,729
ცვეთა	66,202	69,779
წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯი	49,018	59,588
სხვა	50,041	53,620
	1,748,711	1,542,016

ადმინისტრაციული ხარჯების ზრდა ძირითადად აიხსნება მანქანების ტექნიკური მომსახურებისა და შეკეთების ხარჯების გაზრდით, ასევე პროფესიონალური სერვისების გაზრდით (მაგ. აუდიტის საფასური და სხვა პროფესიონალური მომსახურება) და პერსონალის ხარჯებით.

მარაგები

ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
საბურავები	67,664	124,671
სადენები	9,683	31,610
რელსები	9,659	22,287
სხვა	23,802	44,280
	110,808	222,848

კომპანიას აქვს ინვენტარი, რომელიც ძირითადად გამოიყენება ტერმინალის მომსახურებისთვის, როგორცაა დიზელის საწვავი, ელექტრო ძრავები, ამწე ნაწილები, ბორბლები, საბურავები, კაბელები და ა.შ.

რისკების მართვა

ხელმძღვანელობას აქვს ზოგადი პასუხისმგებლობა იყოს შესაბამისობაში მშობელი კომპანიის (შპს „Barwil Agencies AS., Norway“) რისკების მართვის სტრუქტურასთან.

„კომპანიის“ რისკების მართვის პოლიტიკები შეიქმნა იმისათვის, რომ დადგინდეს და გაანალიზდეს მშობელი კომპანიის წინაშე არსებული რისკები, განისაზღვროს რისკის სათანადო ზღვარი და კონტროლის მექანიზმები, ასევე განხორციელდეს რისკების მონიტორინგი და დადგენილი ზღვრის მკაცრი დაცვა. რისკების მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება, რათა აისახოს შესაბამისი ცვლილებები საბაზრო პირობებში და „კომპანიის“ საქმიანობაში.

ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „კომპანიის“ ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი მეორე მხარე ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ის ძირითადად წარმოიშობა „კომპანიის“ კლიენტების მიმართ არსებული სავაჭრო მოთხოვნებიდან.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო ზემოქმედებას (ყველა მოცემული ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება „ამორტიზირებული ღირებულების“ კატეგორიაში) და არის შემდეგი:

ლარი	2018	2017
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,784,363	2,577,804
სავაჭრო მოთხოვნები	340,275	375,976
გაცემული სესხები	-	1,555
აღიარებული ფინანსური აქტივები	3,124,638	2,955,335

გადაფასების შედეგად მიღებული გაუფასურების ზარალი ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში და არის შემდეგი:

ლარი	2018	2017
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ზარალი/(აღდგენა)	(19,625)	45,694
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაუფასურების ზარალი	-	9,307
	(19,625)	55,001

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრების ან ფინანსური აქტივების საშუალებით.

ხელმძღვანელობა რეგულარულად მონიტორინგს უწევს ყოველთვიურ პროგნოზებს კომპანიის ფულადი სახსრების მოძრაობასთან დაკავშირებით.

კომპანია შეძლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს სათანადო მოთხოვნამდე ფულადი სახსრები მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯების დასაკმაყოფილებლად 30 დღიან პერიოდისთვის, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების მომსახურების ჩათვლით; ეს გამორიცხავს ისეთი ექსტრემალური ვითარებების პოტენციურ გავლენას, რომელთა გონივრულ ფარგლებში წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, მაგალითად ბუნებრივი კატასტროფები.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს, რადგან არსებობს შეუსაბამობა გაყიდვების, შესყიდვებისა და კრედიტების ვალუტებსა და კომპანიის სამუშაო ვალუტას (ლარი) შორის. ვალუტა, ოპერაციები უმეტესად არის დენომინირებული ევროსა და აშშ დოლარში.

კომპანიას არ გააჩნია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების წმინდა დაქვემდებარების მართვის პოლიტიკა.

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის კურსის 10%-იანი გაუფასურება, ქვემოთ მითითებულის შესაბამისად, ყველა სხვა ვალუტასთან მიმართებაში 31 დეკემბრის მდგომარეობით გაზრდიდა/(შემამცირებდა) მოგებას ან ზარალს ქვემოთ ნაჩვენები ოდენობით. ანალიზის მიზნებისთვის მიჩნეულია, რომ ყველა სხვა ცვლადი მაჩვენებელი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთები უცვლელი დარჩება, და ის არ ითვალისწინებს გაყიდვებისა და შესყიდვების პროგნოზის ნებისმიერი სახის გავლენას.

ლარი

31 დეკემბერი 2018

აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)

ევრო (10%-იანი მოძრაობა)

31 დეკემბერი 2017

აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)

ევრო (10%-იანი მოძრაობა)

მოგება ან ზარალი	
ზრდა	შემცირება
136,713	(136,713)
116,140	(116,140)
172,793	(172,793)
118,375	(118,375)


ადამიანური რესურსების მართვა

კომპანია თავის თანამშრომლებს სთავაზობს მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოს, რომელიც სათანადოდ არის აღჭურვილი ყველა შესაბამისი ტექნოლოგიით / მოწყობილობებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროფესიონალური და მშვიდი სამუშაო პროცესი. 2018 წლის ბოლოს მდგომარეობით კომპანიაში 122 ადამიანი დასაქმებული, რომელთა 12% ქალია. კომპანიის თანამშრომლები, ჩვეულებრივ, სრულ განაკვეთზე მუშაობენ. არსებობს ანაზღაურების ორი სხვადასხვა მეთოდი, მაგალითად, ფიქსირებული ანაზღაურება (ზოგადად მენეჯმენტისა და ადმინისტრაციისთვის), ანაზღაურება ფაქტობრივი სამუშაო საათების საფუძველზე (ჩვეულებრივ, ტიპური თანამშრომლებისთვის, ისევე როგორც აუცილებლობის შემთხვევაში). დასაქმებულებს უფლება აქვთ ისარგებლონ შემდეგი შეღავათებით (გარდა საქართველოს შრომის კოდექსით რეგულირებული, განსაკუთრებით:

- წლის პრემიები, რომლებიც ძირითადად წარმოადგენს თვიური ხელფასის 100% -ს;
- ყველა თანამშრომლის ჯანმრთელობა დაზღვეულია სადაზღვევო კომპანიის მიერ;
- კორპორატიული მობილური ქსელის მომსახურება, გარკვეული თანამშრომლებისთვის.

ორგანიზაციის სტრუქტურა

Barwil Georgia



შპს „ბარვილი ჯორჯიას“ მენეჯმენტის დასკვნა დამტკიცდა და გამოიცა 2019 წლის 27 ნოემბერს:

სახელი: ლალი ნადარაია

პოზიცია: ფინანსური და ადმინისტრაციული მენეჯერი

სახელი: იოსებ გორგილაძე

პოზიცია: გენერალური მენეჯერი

ლარი

31 დეკემბერი 2018

აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)

ევრო (10%-იანი მოძრაობა)

31 დეკემბერი 2017

აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)

ევრო (10%-იანი მოძრაობა)

	მოგება ან ზარალი	
	ზრდა	შემცირება
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	136,713	(136,713)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	116,140	(116,140)
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	172,793	(172,793)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	118,375	(118,375)


ადამიანური რესურსების მართვა

კომპანია თავის თანამშრომლებს სთავაზობს მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოს, რომელიც სათანადოდ არის აღჭურვილი ყველა შესაბამისი ტექნოლოგიით / მოწყობილობებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროფესიონალური და მშვიდი სამუშაო პროცესი. 2018 წლის ბოლოს მდგომარეობით კომპანიაში 122 ადამიანია დასაქმებული, რომელთა 12% ქალია. კომპანიის თანამშრომლები, ჩვეულებრივ, სრულ განაკვეთზე მუშაობენ. არსებობს ანაზღაურების ორი სხვადასხვა მეთოდი, მაგალითად, ფიქსირებული ანაზღაურება (ზოგადად მენეჯმენტისა და ადმინისტრაციისთვის), ანაზღაურება ფაქტობრივი სამუშაო საათების საფუძველზე (ჩვეულებრივ, ტიპური თანამშრომლებისთვის, ისევე როგორც აუცილებლობის შემთხვევაში). დასაქმებულებს უფლება აქვთ ისარგებლონ შემდეგი შეღავათებით (გარდა საქართველოს შრომის კოდექსით რეგულირებული, განსაკუთრებით:

- წლის პრემიები, რომლებიც ძირითადად წარმოადგენს თვიური ხელფასის 100% -ს;
- ყველა თანამშრომლის ჯანმრთელობა დაზღვეულია სადაზღვევო კომპანიის მიერ;
- კორპორატიული მობილური ქსელის მომსახურება, გარკვეული თანამშრომლებისთვის.

ორგანიზაციის სტრუქტურა

Barwil Georgia



შპს „ბარვილი ჯორჯიას“ მენეჯმენტის დასკვნა დამტკიცდა და გამოიცა 2019 წლის 27 ნოემბერს:

სახელი: ლალი ნადარაია

პოზიცია: ფინანსური და ადმინისტრაციული მენეჯერი



სახელი: იოსებ გორგილაძე

პოზიცია: გენერალური მენეჯერი